

**სახვითი და გამოყენებითი
ხელოვნება/შრომითი
სწავლება**

შესავალი

პიროვნების აღზრდა და ჰარმონიული განვითარება, რაც სასკოლო განათლების ძირითად მიზანს წარმოადგენს, შეუძლებელია ხელოვნებასთან მისი ზიარების გარეშე. ხელოვნების სხვადასხვა დარგის შესწავლა აღქმასა და გრძნობას აფაქიზებს, წარმოსახვის უნარს, შემოქმედებით მიდგომას და კრიტიკულ აზროვნებას ავითარებს, რის გარეშეც წარმოუდგენელია ადამიანის ნებისმიერი საქმიანობა.

პიროვნების აღზრდა-განვითარებისთვის აუცილებელი შრომითი საქმიანობა ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით ხელოვნების სწავლებასთან არის ინტეგრირებული. ამ ინტეგრირების საფუძველს სახვითი ხელოვნების სწავლებაში გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების ელემენტების ჩართვა წარმოადგენს.

ხელოვნების სწავლება შრომით საქმიანობასთან ერთად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სამივე საფეხურზეა გათვალისწინებული: დაწყებით და საბაზო საფეხურზე სავალდებულო (I-IX კლასები), ხოლო საშუალო საფეხურზე სავალდებულო (X კლასი) და არჩევითი (XI, XII კლასები) საგნების სახით. სტანდარტში წარმოდგენილი არჩევითი კურსებიდან მოსწავლეს შეუძლია ერთ-ერთის არჩევა შესასწავლად XI ან XII კლასში.

სწავლებისას ყურადღება მახვილდება განწყობა-დამოკიდებულებების, პრაქტიკული, შემოქმედებითი და კვლევა-ძიების უნარ-ჩვევების განვითარებაზე, ცოდნის გამოყენებაზე.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/შრომითი სწავლების მიზანია:

- მოსწავლის ჩაბმა შემოქმედებით და საინტერპრეტაციო საქმიანობაში და ამ გზით მისთვის მშენიერების განცდის და წარმოსახვის უნარის განვითარება
- ხელოვნების ნიმუშების აღქმის უნარის ჩამოყალიბება და ამ ნიადაგზე მუდმივი ინტერესისა და სიყვარულის გაღვივება ხელოვნებისადმი
- ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლა და მისი საშუალებით ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარება, სამყაროს ერთიანობის განცდის ჩამოყალიბება
- შემოქმედებითი საქმიანობის ტექნიკურ საშუალებათა დაუფლება და შრომის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბება

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/შრომითი სწავლების ამოცანებია:

შესაბამისი ფასეულობებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება, ხელოვნებასთან და შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების განვითარება და აუცილებელი ცოდნის მიცემა მოსწავლეებისათვის; კერძოდ:

ფასეულობები და დამოკიდებულებები	უნარ-ჩვევები	ცოდნა
<p>პატივისცემის გრძობის განვითარება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურის, ადამიანის შრომის მიმართ; თანაგანცდისა და თანაგრძობის უნარის განვითარება; შემწყნარებლური დამოკიდებულების ჩამოყალიბება სხვა ადამიანების, განსხვავებული აზრისა და მსოფლმხედველობისადმი</p>	<p>შემოქმედებითი აზროვნებისა და გაგების უნარის განვითარება; ემოციური სფეროს განვითარება; წარმოსახვის, გემოვნებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარება; ხედვის, სივრცითი წარმოდგენების, დაკვირვების უნარის, მხედველობითი მეხსიერების და ხელის მოტორიკის განვითარება; შრომითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება; საკომუნიკაციო უნარების განვითარება; სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნა</p>	<p>სამყაროს შესახებ წარმოდგენის ჩამოყალიბება; საკუთარი და სხვათა კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა; სახვითი ხელოვნების ენის შესწავლა</p>

დაწყებით საფეხურზე ხელოვნების, როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი დარგის, პედაგოგიურ პოტენციალს მისი თვალსაჩინო-სახეობრივი ბუნება განსაზღვრავს. უმცროსკლასელებში, მათი ასაკობრივი თავისებურებიდან გამომდინარე, თვალსაჩინო-პრაქტიკული აზროვნება და სამყაროს ემოციური აღქმა სჭარბობს, ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია თამაშზე დაფუძნებული აქტივობა, რასაც შესანიშნავად მიესადაგება ხელოვნების სხვადასხვა დარგის (ხატვა, მუსიკა) შესწავლის სპეციფიკა.

დაწყებით საფეხურზე ხელოვნების სწავლება ძირითადად ბავშვის ემოციური და გონებრივი სფეროს, შრომითი და საკომუნიკაციო უნარების განვითარებას ემსახურება.

საბაზო საფეხურზე ხელოვნების დარგებში შექმნილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები მოზარდს საკუთარი თავის ძიებისა და თვითდამკვიდრების პროცესს უადვილებს. ამავე დროს, მნიშვნელოვნად არბილებს იმ გამძაფრებულ კრიტიკულ დამოკიდებულებას სამყაროს მიმართ, რომელიც ნიშანდობლივია ამ ასაკისათვის, ვინაიდან ხელოვნების ნაწარმოების გაგების უნარი განსხვავებული აზრისა და მსოფლმხედველობის მიმართ შემწყნარებლობასაც გულისხმობს.

საშუალო საფეხური პირობითად ორ ეტაპად იყოფა: გარდამავალი X კლასი და XI-XII კლასები, როდესაც მოსწავლე მზად არის გაცნობიერებული არჩევანისათვის. ამ დროს მას საშუალება ეძლევა, საკუთარი ინტერესების მიხედვით აირჩიოს და შეისწავლოს სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფთან დაკავშირებული ერთ-ერთი საგანი.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარება X კლასში ემსახურება ხელოვნების ნიმუშის ანალიზისას მასში გამოყენებული მხატვრული ხერხების, ავტორის ჩანაფიქრის უკეთ გაგებას. მოსწავლეები ახორციელებენ აგრეთვე სხვადასხვა სახის პროექტს. ყოველივე ეს ეხმარება მას არჩევანის გაკეთებაში ესთეტიკური საგნების ჯგუფიდან (იმ შესაძლებლობის ფარგლებში, რასაც სკოლა შესთავაზებს.), რათა XI ან XII კლასებში მოხდეს შექმნილი უნარ-ჩვევების და ცოდნის შემდგომი გაღრმავება და პროფესიული საფუძვლების ჩაყრა.

აღსანიშნავია, რომ VIII, IX და X კლასებში 2009-10 სასწავლო წლიდან ესთეტიკური ციკლის საგნები (1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/ შრომითი სწავლება; 2. მუსიკა) ისწავლება ტრიმესტრული პრინციპით. VIII-IX კლასებში სკოლა თავად გადაწყვეტს, როგორ გაანაწილოს არსებული საათები ორ საგანს შორის. შესაძლებელია:

- მუსიკა ისწავლებოდეს 1 ტრიმესტრი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება / შრომითი სწავლება – 2 ტრიმესტრი
- მუსიკა ისწავლებოდეს 2 ტრიმესტრი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/ შრომითი სწავლება – 1 ტრიმესტრი
- ამ საგნებს შორის თანაბრად განაწილდეს საათები ანუ თითოეული საგანი ისწავლებოდეს ერთნახევარი ტრიმესტრის განმავლობაში.

X კლასში კი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება/ შრომითი სწავლება და მუსიკა თითო ტრიმესტრის განმავლობაში ისწავლება.

საგნის როლი სასკოლო განათლების ეროვნული მიზნის განხორციელებაში

თანამედროვე სკოლა მიზნად ისახავს ისეთი პიროვნების ფორმირებას, რომელიც მზად იქნება მთელი სიცოცხლის მანძილზე იზრუნოს საკუთარი განვითარებისათვის. ამგვარ ადამიანს უნდა ახასიათებდეს:

1. კრიტიკული აზროვნება;
2. პრობლემათა გადაჭრის უნარი;
3. შემოქმედებითი აზროვნება;
4. სამოქალაქო ცნობიერება;
5. კომუნიკაციის უნარი;
6. კვლევა-ძიების უნარი;
7. თვითშეფასებისა და საკუთარი სასწავლო საქმიანობის წარმართვის უნარი.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/შრომით სწავლებას თავისი წვლილი შეაქვს ამგვარი პიროვნების ჩამოყალიბებაში.

1. კრიტიკული აზროვნება

ხელოვნების შესწავლის პროცესში მოვლენათა გააზრებისა და პრობლემათა წვდომის უნარის ჩამოყალიბებას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას ხელს უწყობს: ა) მოსწავლეთა მიერ მხატვრული იდეების პროდუცირება, ბ) საკუთარი და სხვების შემოქმედების დახასიათება, შეფასება და ანალიზი; გ) იმ როლის გააზრება, რომელსაც ასრულებს ეროვნული და მსოფლიო კულტურების მემკვიდრეობა სხვადასხვა კონტექსტში.

2. პრობლემათა გადაჭრის უნარი

ხელოვნების სწავლებისას პრობლემათა გადაჭრის უნარის განვითარებას ხელს უწყობს: ა) სწავლის პროცესში წარმოშობილი იდეების რეალიზაციის პრაქტიკა, ბ) საუკეთესო

შედეგის მისაღწევად საჭირო მასალის, იარაღის, გამომსახველობითი ხერხების თუ ტექნიკის შერჩევა და ეფექტიანი გამოყენება, გ) დასახული ამოცანის გადაჭრისათვის აუცილებელი ინიციატივის და პასუხისმგებლობის გამოვლენა; დ) სტრესის, იმედგაცრუებისა და მარცხის დაძლევა და დასახული მიზნისაკენ მტკიცედ სწრაფვა.

3. შემოქმედებითი აზროვნება

ხელოვნების სწავლებისას მოვლენების მიმართ შემოქმედებითი მიდგომის უნარის განვითარებას ხელს უწყობს: ორიგინალური მხატვრული იდეების გენერირება და მათი განხორციელებისათვის არასტანდარტული გზების ძიება.

4. სამოქალაქო ცნობიერება

ხელოვნების სწავლებისას საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის სურვილისა და უნარის, ეროვნული თვითშეგნების გრძნობის განვითარებას ხელს უწყობს: კლასის, სკოლის და საზოგადოების კულტურულ ცხოვრებასა და კეთილდღეობაში საკუთარი წვლილის შეტანა; კულტურული მემკვიდრეობის და საზოგადოების წინაშე საკუთარი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერება.

5. კომუნიკაციის უნარი

ხელოვნების სწავლებისას კომუნიკაციის უნარის განვითარებას ხელს უწყობს: ა) საკუთარი და სხვისი ნაწარმოებების შესახებ მსჯელობა, კამათი და პოზიციის დასაბუთება, ბ) სხვადასხვა საშუალებებით (ხატვა, წერა, მსჯელობა) საკუთარი აზრისა და გრძნობების გამოხატვა; გ) ჯგუფური მუშაობისას სხვებთან ურთიერთობა, თანამშრომლობა და პრობლემურ საკითხებზე შეთანხმება; დ) კრიტიკული თვალსაზრისის გამოთქმა და დასაბუთება.

6. კვლევა-ძიების უნარი

ხელოვნების სწავლებისას ინფორმაციის მოპოვებისა და გაანალიზების უნარის განვითარებას ხელს უწყობს: ა) ინფორმაციის მრავალფეროვანი წყაროების გამოყენება, ბ) ინფორმაციის შეჯერება, კრიტიკული შეფასება და ეფექტური ორგანიზაცია; გ) ინფორმაციის გამოყენება საკუთარი შემოქმედებისათვის, კვლევისათვის, დამოუკიდებელი აზრის ჩამოყალიბებისათვის და სამოქმედო გეგმის განსაზღვრისთვის.

7. თვითშეფასებისა და საკუთარი სასწავლო საქმიანობის წარმართვის უნარი

ხელოვნების სწავლებისას თვითშეფასებისა და საკუთარი სასწავლო საქმიანობის წარმართვის უნარის განვითარებას ხელს უწყობს: ა) საკუთარი შესაძლებლობებისა და მიღწევების სწორი შეფასება; ბ) საკუთარი ემოციების გაცნობიერება და მათი მართვა; გ) უწყვეტი (მთელი სიცოცხლის მანძილზე) სწავლის ჩვევის გამომუშავება; დ) საქმიანობის სწორად და ეფექტურად დაგეგმვის უნარი; ე) განათლებისა და პროფესიული ზრდისათვის ხელსაყრელი პირობების გამოყენება.

სწავლების მიმართულებები

ხელოვნების/შრომის სწავლება სასწავლო გეგმის მიხედვით სამი მიმართულებით იშლება:

1. პრაქტიკული უნარ-ჩვევები და იდეების გამოხატვა ხელოვნებაში;
2. კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია;
3. ხელოვნების აღქმა კონტექსტში;

სწავლება ყველა მიმართულების ფარგლებში მიმდინარეობს პარალელურად და ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში.

1. პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და იდეების გამოხატვა ხელოვნებაში

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები იძენენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს; ეცნობიან და ეუფლებიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ელემენტებს, პრინციპებს, გამომსახველობით ხერხებს, სხვადასხვა ტექნიკას, მასალას, იარაღსა და პროცედურებს.

მოსწავლეები ავითარებენ სხვადასხვა მოტივის ზეგავლენით წარმოშობილი იდეებისა და ჩანაფიქრების ხორცშესხმის უნარს, რისთვისაც იყენებენ წარმოსახვას, ემოციებს, დაკვირვების უნარს, მასალისადმი შემოქმედებით მიდგომას და სწავლის პროცესში მიღებულ ცოდნას.

2. კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები სწავლობენ ხელოვნების ნაწარმოების გაგებას და შეფასებას, მის შესახებ აზრის ჩამოყალიბებას, ეჩვევიან საკუთარი ჩანაფიქრის ნათელ და მკაფიო განმარტებას და სხვისი აზრის გულისყურით მოსმენას, ეუფლებიან კოლექტიური მუშაობის და მსჯელობის მეთოდებს.

3. ხელოვნების აღქმა კონტექსტში

ამ მიმართულების ფარგლებში მოსწავლეები ეცნობიან ქართული და მსოფლიო, ძველი და ახალი ხელოვნების ცნობილ ნიმუშებს და ხალხური შემოქმედების ზოგიერთ დარგებს, არკვევენ მათ შინაარსსა და დანიშნულებას, აკავშირებენ მათ ყოველდღიურ რეალობასთან და საკუთარ გამოცდილებასთან; ეცნობიან მათი შექმნისა და შეფასების განსხვავებულ ისტორიულ, კულტურულ, სოციალურ და სხვა კონტექსტებს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/შრომითი სწავლების სასწავლო კურსის შემავჯამებელი შედეგები სკოლის დაწყებით და საბაზო საფეხურზე

	დაწყებითი საფეხური	საბაზო საფეხური
პრაქტიკული უნარ-ჩვევები და იდეების გამოხატვა	<p>ექსპლემარული ბოლოს მოსწავლე:</p> <p>მიზანმიმართულად ირჩევს და შემოქმედებითად იყენებს ხელოვნების ელემენტებსა და პრინციპებს, სხვადასხვა მასალას, ტექნიკასა და პროცედურას კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად ნამუშევრის შექმნისას თანამშრომლობს სხვებთან, როგორც პირადი, ისე საერთო მიზნის მისაღწევად</p>	<p>ცხრაწლედის ბოლოს მოსწავლე:</p> <p>შემოქმედებითად იყენებს ხელოვნების ელემენტებს, პრინციპებს, სხვადასხვა მასალას, ტექნიკასა და პროცედურას მიმართავს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის სხვადასხვა სტრატეგიას</p>
კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია	<p>წარმოადგენს ინდივიდუალურ და ჯგუფურ ნამუშევრებს და მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით გამოთქვამს და ასახულებს საკუთარ აზრს ხელოვნების ნაწარმოების შესახებ ესმის და წარმოაჩენს, რომ ხელოვნება არის კულტურის თვითგამოხატვის საშუალება</p>	<p>წარმოადგენს ინდივიდუალურ და ჯგუფურ ნამუშევრებს, მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით აანალიზებს ხელოვნების ნიმუშს და განმარტავს, რა მიზნით არის მასში გამოყენებული კონკრეტული ხერხი ან მასალა აცნობიერებს ხელოვნებას, როგორც მსოფმხედველობის გამოხატვის და კომუნიკაციის საშუალებას</p>
ხელოვნების აღქმა კონტექსტში	<p>ამოიცნობს და აღარებს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის ხელოვნების ნიმუშებს და იკვლევს ხელოვნების როლს ლოკალურ და მსოფლიო საზოგადოების ცხოვრებაში ეცნობა ქართულ ხელოვნებას და ხელოვნების მოღვაწეებს.</p>	<p>ამოიცნობს და აღარებს ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქისა და სტილის ნამუშევრებს იკვლევს და განმარტავს კონტექსტის გავლენას კონკრეტულ ნაწარმოებსა და ხელოვნების შემოქმედებაზე იკვლევს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხელოვნების ნიმუშებს და მსჯელობს მათ შესახებ.</p>

I კლასი

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება:		
პრაქტიკული უნარ-ჩვევები და იდეების გამოხატვა	კომუნიკაცია და ინტერპრატაცია	ხელოვნების აღქმა კონტექსტში
ს.გ.1.1 იყენებს სახვითი ხელოვნების ერთ ან რამდენიმე ძირითად ელემენტსა და პრინციპს ნამუშევრის შექმნისას	ს.გ.1.7 წარმოადგენს ინდივიდუალურ და ჯგუფურ ნამუშევრებს, გამოთქვამს აზრს საკუთარ და თანაკლასელთა ნაშრომებზე	ს.გ.1.11 განასხვავებს ერთმანეთისაგან ხელოვნების დარგებს, ზოგიერთ ჟანრს და აკავშირებს მათ ყოველდღიურ ცხოვრებასთან
ს.გ.1.2 მიმართავს სხვადასხვა მასალას, ტექნიკას და პროცედურას ნამუშევრის შექმნისას	ს.გ.1.8 პატივის სცემს საკუთარ და სხვის ნამუშევარს	ს.გ.1.12 აკავშირებს ნაწარმოების შინაარსს საკუთარ გამოცდილებასთან
ს.გ.1.3 აკვირდება გარემოში სხვადასხვა ფერს და ფორმას და ასახავს მათ ნამუშევარში	ს.გ.1.9 მონაწილეობს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში	
ს.გ.1.4 გამოსახავს სხვადასხვა მოტივის საფუძველზე წარმოშობილ იდეებს	ს.გ.1.10 იცნობს და იყენებს ელემენტარულ ტერმინოლოგიას	
ს.გ.1.5 ამჟღავნებს მარტივი შრომითი საქმიანობის ელემენტარულ უნარ-ჩვევებს		
ს.გ.1.6 მუშაობს ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად		